ᲛᲔᲜᲨᲕᲘᲚᲘ

№ 8 — ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲣᲪᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — 2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1942

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული სახელმწიფოს მთავარი საფუძვლები

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

წინა წერილში ჩვენ ვსთქვით, რომ თუ ჩამორჩენილმა რუსეთმა ვერ ჰპოვა თავის თავში საკმაო ძალა ბოლშევიკური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, კულტუროსანი ევროპა წინ აღუდგა კარზედ მომდგარ საფრთხეს და უკუაგდო იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ახალი პრინციპის წამოყენებით.

ამ ახალი პრინციპის აღმსარებელმა ნაციონალ - სოციალიზმმა და ფაშიზმმა შეიმუშავეს თანამედროვე ცხოვრებასთან და მის პირობებთან შეგუებული მძლავრი მსოფლმხედველობა და დაამკვიდრეს ეროვნული სახელმწიფო, რომლითაც დაიწყო ახალი ხანა საზოგადოების განვითარებისა.

ეროვნული სახელმწიფოს ახალი პრინციპი უპირყოფს დემოკრატიულ და მარქსისტულ სახელმწიფოთა სისტემას, რომელიც დამყარებულია განსაზღვრულ უძრავ პრინციპებზედ და ლამობს ყველა ერები დაუმორჩილოს ამ პრინციპებს, განურჩევლად მათი ცხოვრების სპეციფიური პირობებისა, ინდივიდუალურ განსხვავებათა, ე.ი. მას სურს ყველა ერებს თავზედ მოახვიოს მის მიერ ერთხელ და სამუდამოდ აღიარებული და შექმნილი წესწყობილება. დემოკრატიული და მარქსისტული დოგმის რწმენით ერი უნდა შეეგუოს რეჟიმს და არა ეს უკანასკნელი ერს და მისი ცხოვრების პირობებს.

ეროვნული სახელმწიფო კი ეგუება ყოველი ერის განსაკუთრებულ ხასიათს, მისი ცხოვრების განვითარების დონეს, ისტორიულ პირობებს და მათთან შეფარდებით ახორციელებს თვის იდეებს.

მას აქვს მხოლოდ რამოდენიმე ძირითადი და საერთო პრინციპი, აუცილებელი ყველა განათლებულ საზოგადოებისათვის, რომელთა შორის მთავარია:

ეროვნული მთლიანობა და **ეროვნული ინტერესის უზენაესობა.**

ერთა დაცემის პროცესი იწყება მით, რომ ხალხი საერთო ინტერესების გარშემო არ იკრიბება, კერძო ინტერესების ნიადაგზედ გადაჯგუფდება და დაიყოფა ხოლმე.

დემოკრატიზმი და მისი პირმშო შვილი მარქსიზმი სწორედ ამ ეროვნულ ძალთა დაყოფას ემსახურებიან. მათ წიაღში სწარმოებს მუდმივი ბრძოლა კერძო და ჯგუფურ ინტერესთა შორის და საერთო ეროვნული ინტერესი, ეროვნული მიზანი არ არის გამორკვეული და სახელმწიფოს ზრუნვის საგნად დასახული. ხშირად კლასთა ბრძოლა უკიდურეს წერტილს აწევს, რაც იწვევს სახელმწიფოსა და მისი ცივილიზაციის ნგრევას და დაღუპვას. ამის მაგალითები მრავალია ისტორიაში.

თანამედროვე ეროვნული სახელმწიფო არ უარჰყოფს კლასთა არსებობას და კლასობრივ ინტერესთა სხვადასხვაობა მას სავსებით ნორმალურ მოვლენად მიაჩნია. ყოველ ინდივიდს, აგრეთვე ყოველ სოციალურ კლასს თვისი საკუთარი ინტერესები გააჩნია. მათი განსაკუთრებული მდგომარეობის მიხედვით. მაგრამ ინტერესებზედ ასეთი გადარჩევა სრულიადაც არ ნიშნავს ეროვნული საერთო ინტერესების არ არსებობას. პირიქით, ყოველი ინდივიდის, ყოველი კლასის ინტერესი ერის საერთო წარმატებას თხოულობს. თითოეული მათგანი საზოგადოებაში განსაზღვრულ სოციალურ ფუნქციას ასრულებს, რომელთა შეთანხმებული მოქმედებისაგან დამოკიდებულია ერის სიცოცხლე და კეთილდღეობა, ისე როგორც ცოცხალი ორგანიზმის არსებობა დამოკიდებულია მის შემადგენელ ორგანოთა ნორმალური მუშაობისაგან.

ბოლშევიკების დამსხვრეული ტანკები ვორონეჟში.

ერის გარეშე არ არსებობს არც ერთი კლასის ინტერესი. მით რომ ამერიკელი მუშა ფუფუნებაში ცხოვრობს, ქართველ მუშას არაფერი ემატება და ასევე ითქმის სხვა კლასების შესახებაც.

ეროვნული ახელმწიფო უარჰყოფს კლასთა ბრძოლის ისტორიულ აუცილებლობას, რომელიც განსაზღვრული ეპოქის დაცემის დამახასიათებელია და რომელიც იმ ერის წიაღში იჩენს ხოლმე თავს, სადაც ეროვნული მთლიანობა დარღვეულია და ერი უფსკრულისაკენ მიექანება.

ეროვნული ცხოვრების ნორმალური მსვლელობა და ცივილიზაციის განვითარება საჭიროებს კლასთა სოლიდარულ თანამშრომლობას, დამყარებულს სამართლიანობის ნიადაგზედ, რასაც ახორციელებს ფაშიზმისა და ნაციონალ-სოციალიზმის მიერ დაფუძნებული ეროვნული სახელმწიფო.

ეროვნული სახელმწიფო ჰქმნის ისეთ ორგანიზაციას, რომლის საშუალებით სავსებით და თანაბრად დაცულია ერის შემადგენელ ყველა ნაწილთა ინტერესები. მას ფესვები აქვს გადგმული ერის ცხოვრების ყოველ დარგში, ეროვნული ვითარების ყოველ ამომქაღავნებაში და ემსახურება მათ.

იგი არ არის მომწყვდეული ყალბი პრინციპების სამყაროში, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, არც სნეულ ფანტაზიებისა და მავნე უტოპიების სივრცეში მარქსიზმისაებრ, არამედ დამყარებულია სინამდვილეზედ და საგანსაც მისი იდეალისა და შემოქმედებისა შეადგენს ცხოვრების მამოძრავებელი ძალა და რეალური ფაქტორი — ერი.

ეროვნული იდეის უზენაესობის განხორციელება, ეროვნული მთლიანობის დამყარება და ერის შემადგენელ ყველა ელემენტთა ენერგიის გაერთიანება და მისი ამუშავება და მიმართვა უმაღლეს ეროვნულ მიზანთა განსახორციელებლად არის მთავარი საზრუნავი საგანი ეროვნული სახელმწიფოსი.

კ. ს.

ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ფუერერმა დააწესა სიმამაცისა და დამსახურების ჯილდო აღმოსავლეთის ხალხთათვის. იგი მიეცემა ნიშნად მაღლობისა და განსაკუთრებულად დამსახურებულთ აღმოსავლეთის დაკავებულ ქვეყნებში.

ფუერერმა მიანდო მთავარ-სარდლობას, გამოსცეს სათანადო განკარგულება ამის აღსრულებისათვის.

ბოლშევიზმის ბრძოლა ერისა და მისი კულტურის წინააღმდეგ

მარქსიზმი როგორც საზოგადოებრივი მოძღვრება და მოქმედება.

(გაგრძელება)

მარქსი და ენგელსი „კომმუნისტურ მანიფესტში“ 1848 წლისა ამბობდენ: ევროპას მოევლინა საშინელი აჩრდილი კომმუნიზმისაო.

და მართლაც მაშინ მოვლინებულ[illegible] აჩრდილი კომმუნიზმისა უსაშინელ[illegible] იყო კომმუნიზმის იმ აჩრდილთა, რ[illegible] მელნიც წინადაც აღმართულან ხოლ[illegible] კულტურული კაცობრიობის საზოგ[illegible] დოებათა წიაღში.

უსაშინელესი იყო ეს ახალი აჩრდილი კომმუნიზმისა, რათგანაც იქმნებოდა იდეოლოგია კომმუნიზმისა. კომმუნიზმი ანუ კოლლექტივიზმი ანუ სოციალიზმი იქმნებოდა მოძღვრებად, სისტემად იდეათა, და განსაზღვრული გზით, განსაზღვრული მეთოდებით იწყებ[illegible] და ამ იდეათა განხორციელებას.

[illegible] ფილან, მარქსისტული სოციალიზმის წინა - მორბედნი იყვნენ სხვა ფორმ[illegible] რევოლუციონური და არა რევოლუ[illegible] ონური სოციალიზმისა, მაგრამ არც [illegible] თს ამ სოციალიზმთაგანს არა ჰქონ[illegible] ისეთი ჩამოსხმული სისტემა მოძღვრ[illegible] ბისა და მოქმედებისა, როგორიც ჰქო[illegible] და მარქსიზმს. მარქსიზმმა თვის წინ[illegible] მორბედ „სოციალიზმებს“ საერთო [illegible] ხელი „უტოპიური სოციალიზმისა“ [illegible] ოდა, თვით კი გამოვიდა ვითარცა „[illegible] ცნიერული“, და რაოდენედაც სის[illegible] ლეს აღწევდა იგი თეორიულად, ი[illegible] ნად მრავლდებოდა რიცხვი მის მ[illegible] ვართა, იზრდებოდა მებრძოლთა [illegible] დრობა მისი და ირაზმებოდა პო[illegible] კურად და რევოლუციონურად.

და მალე 1848 წლის აჩრდილ[illegible] მუნიზმისა ხორცშესხმულ [illegible] რთხედ გადიქცა ევროპის[illegible] წელს დაარსდა პირველი [illegible] ნაციონალი ლონდონში [illegible] გან ბრძოლა ერისა, მისი [illegible] ბელ სახელმწიფოთა „[illegible] ლის“ წინააღმდეგ [illegible] წყვეტილა. ინტერნაციონ[illegible] მოდგენილნი იყვნენ სხვა და [illegible] რთულებანი სოციალიზმისა, მაგრ[illegible] რქსიზმმა თვისი სისტემით მათ ყ[illegible] ის სძლია. იგინი მცირე ჯგუფთა ხ[illegible] ზედ ჩამოვიდენ და ისეთი გ[illegible] ვერსად ვერ მოიპოვეს, როგორიც [illegible] პოვა მარქსიზმმა.თვით ძლიერი ანარ[illegible] სტული ფრთა ინტერნაციონალისა [illegible] მარცხდა. მან განაგრძო წმინდა რ[illegible] ლუციონური მოქმედება მშრომელ[illegible] შორის, როგორც პოლიტიკური [illegible] მედების უარ-მყოფელმა, მაგრამ [illegible] დესაც ანარქისზმის პრაქტიკულმა მ[illegible] მედებამ მშრომელთა ორგანიზაციებ[illegible] თვით ანარქიზმს შეაგნებია აუცილებელი საჭიროება ორგანიზაციისა ბრძოლისათვის, იგიც გარდიქცა ერთ მიმართულებად სოციალისტური მოძრაობი-

(გაგრძელება მესამე გვერდზე).

საზოგადო მიმოხილვა სამხედრო მოქმედებათა

აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთ ნაწილში რუსების დამარცხება მათ სხვა და სხვა პოზიციებზედ ხდება. მაშინ როდესაც გერმანიის, იტალიის, რუმინიის ჯარებმა, კროატების ერთმა რაზმმა დონს მიახწიეს ვორონეჟსა და მიგულიანსკაიას შუა, სხვა ნაწილები მოკავშირეთა ჯართა გაემართენ სამხრეთით დონის აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივ დონის ბოლოსაკენ; დონს მათ მიახწიეს როსტოვის აღმოსავლეთით. ამით მოჭრეს მათ ბოლშევიკების ჯარი სამრეწველო ბასსეინში როსტოვსა და ვოროშილოვგრადს შუა. შემდეგ ხარკოვსა და ტაგანროგს შუა გერმანელებმა დაიწყეს ფრონტზედ შეტევა აღმოსავლეთის მიმართულებით იმ მიზნით, რომ მოესპოთ გარშემორტყმული ბოლშევიკების ჯარები. 17 ივლისს იქმნა აღებული რამოდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ ვოროშილოვგრადი და 19 ივლისს გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში ნახშირის რაიონი „კრასნი ლუჩ„-ი დონის მოსახვევში როსტოვს შემოერტყენ აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით, დონის ხიდები ქალაქიდან სამხრეთისაკენ გადასასვლელად



...ონი.

...ეულ იქმნა. როსტოვის აღმოსავ... ...ით გერმანელები გავიდენ დონის ...ზედ ფართე ფრონტით. მილ... ...ივო - კამენსკაიადან მიდის გერ... ...ერთი არმია სამხრეთ - აღმოსავ... მიმართულებით დონის მოსახვევ... ...ტალინგრადისაკენ. მან მიახწია ...ქმის უწინააღმდეგობოდ ადგილს, ...ელიც 80 კილომეტრით არის და... ...ბული კაჩალინსკაიას. მარიუპო... ...ბუსტი შემოტევები მტრისა უკუ... ...რუმინიის ჯარის ნაწილებმა. ...იქ ხმელეთზედ გადმოსვლა უნ...

...ონეჟთან უშედეგოდ გათავდა ...შემოტევა მტრისა, რომელიც ...ელი იყო გერმანელების პოზი... ...წინააღმდეგ ქალაქის რჩდილო... ...აპირას და აგრეთვე წინააღმდეგ ...ს აღმოსავლეთ ნაპირს გამაგრე... ...ხიდის თავისა. ამ ბრძოლებში ...შევიკებმა დაჰკარგეს 100 - ზე მე... ...ტანკი.

...შუა ნაწილში ფრონტისა გერმანე... ...ბმა განაგრძეს პარტიზანების წინა... ...დეგ მოქმედება და მოსპეს მათგან ...ი ჯგუფი. ილმენის ტბის სამხრე... ...და ჩრდილოეთით ბოლშევიკების ...კების შემოტევა უშედეგოდ გათავ... ...მათ სურდათ გერმანელების ფრო... ...ტის გარღვევა ლოვატთან და ვოლხ... ...ოვთან.

აეროპლანები შველოდენ ძლიერად მიწაზედ მებრძოლ ჯარებს დონეცსა და დონის შუა, სპობდენ ბოლშევიკების გაქცეულ ჯარებს და ანგრევდა გზებს დონის ბოლოში, რომლებიც სავსე იყო სამხედრო ტრანსპორტებით. ნოვოროსიისკსა და კავკასიის ნავთსადგურს ფოთს, სადაც შეფარებულია ბოლშევიკების ესკადრა, რამდენიმეჯერ დაესხენ თავს ბომბერები. დაზიანდა ერთი მძიმე კრაიცერი ბოლშევიკებისა. დონის თავში ყუმბარები დაუშინეს აეროპლანებმა საბჭოების პოზიციებს, აგრეთვე მოსკოვის მიდამოებში დღე და ღამ უშენდენ ყუმბარებს რკინის გზებს. — ფინლანდიის ზღვის ყურეში ჩაძირეს ერთი სადარაჯო გემი და ერთიც დაზიანებულ იქმნა. მურმანსკის მიდამოებში ნავთ - სადგურს და რკინის გზებს ყუმბარებით მიაყენეს დიდი ზარალი და მტრის ფლაკის არტილერია ჩააჩუმეს. 8 ივლისიდან 20 - მდე მოსპობილ იქმნა მტრის 829 აეროპლანი, გერმანელებმა დაჰკარგეს 70. უდეტის სახელის მონადირეთა ესკადრამ 54 - მა 2500 - ჯერ გაიმარჯვა ომის დაწყებიდან. საბჭოთა რამოდენიმე აეროპლანმა ორჯერ სცადა უშედეგოდ თავს დასცემოდა აღმოსავლეთ - პრუსსიას. — ინგლისში, სამხრით ნაპირზედ, გერმანიის აეროპლანებმა მოსპეს პულის ბუხტში ერთი რადიოს გადასაცემი და დაზარალეს მძიმედ ერთი ქარხანა აეროპლანთა ნაწილებისა ჩელმსვორდში ლონდონის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით. სამხედრო მნიშვნელობის ადგილებს, განსაკუთრებით აეროპლანთა სადგურებს ყუმბარები დაუშინეს ბრაიტონში, ფელიქსტაუნში, ოქსფორდ - ნესს-თან. 10 ივლისიდან 27-მდე ინგლისელებმა დაჰკარგეს 189 აეროპლანი, გერმანელებმა 40. — ინგლისელების ავიაცია შედარებით სუსტი ძალებით დაეცა ოთხჯერ ღამით ბრემენს, ოლდენბურგს, დუისბურგს და მორს-ს. 20 ინგლისური აეროპლანი იქმნა ჩამოგდებული.

გერმანიის წყალ - ქვეშა ნავებმა ჩაძირეს აზორის კუნძულთა ჩრდილოეთით, შუა ატლანტის ოკეანეში და შეერთებული შტატების ნაპირებზედ, აგრეთვე ლორენც - შტრომის შესართავთან 16 სავაჭრო გემი 104 000 ბრ. რ. ტონნისა, ორ გემს მოახვედრეს ტორპედო და დააზიანეს. ლამანშის არხში ჩაძირეს მსუბუქმა საზღვაო ძალებმა, რომლებიც ერთ გერმანულ კონვოის მოყვებოდენ, ერთი ფლაგის გემი ბრიტანიის ფლოტილიისა და 5 სწრაფლმავალი ნავი. თვით იგინი უვნებლად დარჩენ. ორი სხვა ინგლისური გემი ცეცხლში გახვიეს.

ეგვიპტეში ინგლისელებმა ჩამოიყვანეს დიდი ნაწილები მე-9 და მე-10 არმიისა სირიიდან და ირაკიდან და მთელი კვირის განმავლობაში იგინი უტევდენ 40 კილომეტრის სიგრძის პოზიციებს ღერძის სახელმწიფოთა ჯარებისა ზღვის პირსა და კატტარის მარილის ჭაობთა შუა ელ-ალამეინთან, მაგრამ ვერც მრავალმა ტანკმა და ვერც ძლიერმა არტილერიამ ინგლისელებისა ვერ გაარღვია გერმანელების ფრონტი. ღერძის სახელმწიფოთა ჯარებმა წამოიყვანეს 1000 ინგლისელი ტყვედ. მოსპობილ იქმნა ან წამოღებული 131 ინგლისური ტანკი. ღერძის სახელმწიფოთა აეროპლანები დაეცენ მტრის აეროპლანების სადგურებს ალექსანდრიასთან;მათ ყუმბარები დაუშინეს კუნძულ მალტას მრავალჯერ. ბრძოლებში ჩამოაგდეს 50 ინგლისური აეროპლანი.

მადლობა გერმანიის წყალქვეშა ნავებს

გერმანიის სამხედრო ფლოტის უფროსმა დიდმა ადმირალმა რედერმა შემდეგი შინაარსის ტელეგრამმა გაუგზავნა წყალ-ქვეშა ნავთა მთავარ კომანდირს ადმირალ დონიცს: „უკვე ნახევარი წელიწადია რაც ჩვენი წყალ-ქვეშა ნავები ებრძვიან ამერიკის ნაპირებზედ მტრის ნავსნობას. ამ დროის განმავლობაში ყველა ფრონტებზედ ჩაიძირა სულ 616 გემი მტრისა 3 348 200 ბრ. რ. ტონნისა, ამათგან მარტო ამერიკის წყლებში 467 გემი 2 917 600 ბრ. რ. ტონნისა. მოხარული და მოამაყე ამ მიხწევებით გიცხადებთ თქვენ, ნავთა კომენდანტებს და გმირ მეზღვაურთ ჩემ მადლობას თქვენი დაუღალავი ბრძოლისათვის და თქვენ გამარჯვებათათვის!“

ასე დაეცა ვორონეჟი.

მტერი ლაპარაკობს:

ამერიკული გაზეთი „ტაიმ“-ი სწერს: „ჩრდილოეთ აფრიკაში ბრძოლებმა ინგლისელებს და ამერიკელებს კვლავ დაანახვეს ის ფაქტი, რომ ომს თავები იგებენ და გერმანელებს სწორედ ჰყავსთ. ასეთი სამხედრო თავები. ამასთანავე ენერალ - ფელდმარშალი რომმელი გარდიქცა „უკომპეტენტურეს მხედრად“ თვისი დროისა.“

„ნიუ-იორკ დეილი ნიუს“ ამბობს: „ვერც ჩერჩილმა და ვერც რუზველტმა ვერ დაამტკიცა ვერავითარი სტრატეგიული ან ტაქტიკური გენია. პირიქით, წარსულ მსოფლიო ომში აჩვენა ჩერჩილმა, რომ მას არა აქვს სტრატეგის თვისებანი“.

დამახასიათებელია ხალხის გუნებისა ინგლისში გაზეთი „პიპლ„-ის შემდეგი სიტყვები: „მოკლე ხნის წინად სიტყვა „გამარჯვება 1942 წელში“ საბჭოთა კავშირშიაც და აგრეთვე ინგგლისშიაც ატაცებას იწვევდა, ახლა კი საქმე სხვანაირად არის. ასე სჩანს, თითქოს მთავრობას არა სურს საზოგადოებას უთხრას, თუ როგორ სერიოზულია ახლანდელი მდგომარეობა.“

საინტერესოა „ბანგკოკ ტაიმს“-ის აზრი: ინგლისი განიცდის ახლა მთელ მის ისტორიაში უდიდეს კრზისს. დიდი ზარალი ზღვაზედ, ცუდი იმედი ხმელეთის ფრონტებზედ და დიდი გაჭირვებული მდგომარეობა ინდოეთში უზარ-მაზარი ზომისანი ხდებიან.

ცუდი გზები, რომელზედაც ფეხოსანმა ჯარმა უნდა გაიაროს.

„ტაიმს“-ი ფიქრობს: „ინგლისისა და ამერიკის ჩაძირულ გემთა რიცხვი უკანასკნელ კვირაში არ არის შედეგი ერთი რომელიმე ცუდი კვირისა, არამედ იგი წარმოადგენს უმაღლეს ხარისხს საქმის თავისთავად კატასტროფიული მდგომარეობისა“-ო-

პრესსის აზრი აღმოსავლეთის ფრონტზედ მდგომარეობის შესახებ: „დეილი მირორ“-ი სწერს: გერმანული ტანკების ფორმაციები აღმოსავლეთის ფრონტზედ უფრო და უფრო ღრმად იჭრებიან წითელ არმიაში სამხედრო მასალის დაუშრეტელი მარაგით—ო.

„წითელი ვარსკვლავი“, რუსული სამხედრო გაზეთი, აღიარებს: „გერმანელების მოწოლის ძალა უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში არ შენელებულა. საშიშია, რომ საბჭოთა მდგომარეობა გერმანელთა სტრატეგიის გამო ძლიერ გაუარესდეს“.

„დეილი ტელეგრაფ“-ი აცხადებს: „რუსებს არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდესთ, რომ მათ შეუჩერებელი უკანდახევის დროს სადმე ფეხი მოიკიდონ“.

„დეილი მეილ“-ი აღნიშნავს: „ბრძოლები დონზედ დახასიათდება საბჭოთა უკან-დახევით. საბჭოებს თითქმის აღარ შეუძლიათ თავი გადირჩინონ გერმანული ბომბერებისაგან“.

ბოლშევიზმის ბრძოლა ერისა და მისი კულტურის წინააღმდეგ

(პირველი გვერდის გაგრძელება).

ს., სინდიკალიზმად. მან ძლიერ ბევრი დათმო თვისი ინდივიდუალზმითგან და თვით დაემსგავსა „კლასსთა ბრძოლის“ მარქსიზმს.

მარქსიზმი მოედვა განსაკუთრებით კონტინენტის ევროპას, ჯერ მის დასავლეთ და შუა ნაწილს, ბოლოს აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს, მათ შორის მთელი რუსეთის იმპერიას და მის ერებს. ინგლისში მან პირველად ვერ გაიხარა, მიუხედავად იმისა, რომ მარქსმა ინგლისის ისტორიის მაგალითებით შექმნა თვისი თეორია კაპიტალიზმისა და კაპიტალიზმის შემდეგ გარდუვალად სოციალიზმის დამყარებისა. თვისი „კაპიტალი“ მარქსმა სწორედ ინგლისში დასწერა. მიზეზი იმისა, რომ ინგლისის მშრომელთა და ინტელიგენტთა შორის მარქსიზმმა პირველად ფესვი ვერ გაიდგა, ბევრი იყო: ინგლისელის განსაკუთრებული თვისება ეროვნული, მისი მიდრეკილება სარწმუნოებრივი, თუმცა უაღრესად მლიქვნელი, მაგრამ მაინც წინააღმდეგი უღმერთოებისა, პოლიტიკურნი თავისუფლებანი ინგლისისა, თუმცა ბევრი მათგანი მოჩვენებითი და არა ნამდვილი, რომელნიც ინგლისს უკვე ჰქონდა და რომელთა მოპოვება მარქსისტული გზით მას არ სჭირდებოდა, ინგლისელის პრაქტიკულ თვისებათა შესაფერისი მუშათა მოძრაობა და ორგანიზაციები „ტრეიდ-იუნიონთა“, არა რევოლუციონური თვისებისა, ინსტინქტი და შეგნებაც იმპერიის დაცვის საჭიროებისა და მისი არ დანგრევისა რევოლუციით, რომელიც ინგლისში ყველას აქვს: მუშას, კაპიტალისტს და სხვათა, და სხვ. — დღეს კი ინგლისში სულ სხვას რასმე ვხედავთ, სხვა მიზეზოვან გამოწვეულს, მაგრამ ამაზედ შემდეგ. —

მარქსიზმი ევროპისა დარუსეთის გზით საქართველოშიც შემოვიდა და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უდიდესი ნაწილი ქართველ მშრომელთა და ინტელიგენტთა მის მიმდევრად გახდა. და სწორედ ის ფაქტი, რომ კაპიტალისტურად მცირედ ან სულ მცირედ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიც იყო რუსეთი და საქართველო, მარქსიზმმა ადამიანთა სული შეიპყრო, ეწინააღმდეგება მარქსის თეორიას და მაჩვენებელია იდეის ძალისა, თუ იდეა მოხერხებულად არის შექმნილი სულთა შესაპყრობად. ასეთი ხერხები კი მარქსიზმს, როგორც ნამდვილ ურიულ იდეათა სისტემას, არ აკლდა, არამედ იქ იყო მთელი მისი ძალა.

მარქსიზმის ბრძოლის მოძღვრებით ყოველი ბრძოლა პოლიტიკური ამავე დროს ეკონომიური ბრძოლაა, და ყოველი ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკურ სფეროში უნდა გადავიდეს. და ამ პრინციპებზედ აშენდენ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში ძლიერი ორგანიზაციები მუშათა და ძლიერი პარტიები სოციალ - დემოკრატიისა, რომლის თვით სახელი „სოციალ - დემოკრატია“ გამოჰხატავდა ზემოხსენებულ პრინციპებს, — ბრძოლას სოციალურ სფეროში პროლეტარიატის გაბატონებისათვის და დემოკრატიულ სახელმწიფოთა მიერ მინიჭებულ უფლებით სარგებლობას, რომ ბოლოს თვით სახელმწიფო ჩაეგდო ხელში პროლეტარიატს, ებრძოლა დემოკრატიისათვის იქ, სადაც ჯერ არ იყო დამყარებული დემოკრატიული რეჟიმი, რომ ბოლოს თვით ესარგებლა პროლეტარიატს დემოკრატიული რეჟიმით: ბრძოლა პოლიტიკური - რევოლუციონური და ლეგალური —, და ბრძოლა ეკონომიური — აგრეთვე რევოლუციონური ან ლეგალური, — აი რა დააწერა მარქსიზმმა თავის დროშაზედ, რომლითაც იგი წინ მიუძღოდა პროლეტარიატს და მიჰყავდა იგი დიქტატურის მოსაპოვებლად.

და როგორც მარქსის თეორია არის მოჩვენებით ჭეშმარიტებათა გამოცხადება, მაგრამ ნამდვილად ცრუ, ხოლო მაცდური, ისე მოქმედება მარქსისტთა იყო და არის ვერაგული, ვერაგობით შემაცდენელი მრავალი ერის დიდ ნაწილთა და მავნებელი ერთათვის.

და აი მოჩვენებითი მხარე და შინაგანი თვისება მარქსიზმის ბრძოლისა:

თავის თავად დიდი საქმეა სოციალურ და პოლიტიკურ მიზანთა მქონე პარტიისა ერის მასსათა დარაზმვა, მათი გარდაქმნა შეგნებულ პოლიტიკურ ნაწილებად ერისა, ბრძოლის ნიჭის მქონედ თვისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სხვა. მაგრამ ამ ბრძოლაში მთელი ერის ეკონომიურ ან პოლიტიკურ ინტერესთა დავიწყება, ენება მათი კლასსიური ინტერესით, გაფიცვები და საზოგადოდ რევოლუციონური ბრძოლა გაფანატიკოსებულ მასსათა, რომელიც ხშირად მთელი ერის მეურნეობას დაშლას უქადის, ან განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრულ დროს მთელ ერს და მის სახელმწიფოს საფრთხეში აგდებს, — უდიდესი დანაშაულია ერის წინაშე და თვით მშრომელთა წინაშე, რომელნიც განუყრელნი ნაწილნი არიან ერისა. ხოლო ასეთი იყო ეკონომიური ბრძოლა მარქსიზმისა ყოველთვის. მოვიგონოთ მხოლოდ ერთი მაგალითი: 1918 წელს, როდესაც გერმანიის მხედრობა თავგანწირული იცავდა სამშობლოს მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ, სოციალ - დემოკრატიის მიერ ხელძღვანილმა და წაქეზებულმა „პროლეტარიატმა“ სამხედრო ქარხნებში გაფიცვები მოაწყო და ბრძოლის ველზედ სისხლის მღვრელ გმირებს ზურგში მახვილი ჩასცა, გერმანიის ერს ომი წააგებია და იმ უდიდეს უბედურებაში ჩააგდო მთელი ერიცა და თავისი თავიც, რომლის მსგავსი გერმანიას საუკუნეთა განმავლობაში არ განუცდია.

ერის მოწინავე პოლიტიკურ პარტიათა უდიდესი მიზანია პოლიტიკურ უფლებათა მოპოვება ყველგან, სადაც მას დიდნი ნაწილნი ერისა მოკლებულნი არიან, მაგრამ საბოლოო მიზანი რომელიმე ასეთი პარტიისა — პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებით თვით სახელმწიფო ჩაიგდოს ხელში და ერის ერთი ნაწილი გააბატონოს, შექმნას მისი დიქტატურა, — აგრეთვე უდიდესი დანაშაულია ერის წინაშე. დიქტატურა პარტიისა ან კლასსისა ამასთანავე მტარვალთა მცირე ჯგუფისა დიქტატურად იქცევა ხოლმე ყოველთვის და ყველგან, სადაც კი ასეთი დიქტატურა ერს დასწოლია მძიმე ტვირთად რევოლუციის შემდეგ. მარქსისტული რევოლუციის მიზანი სწორედ ასეთი დიქტატურა იყო, არის და ქმნება, სანამ მარქსისტები არსებობენ როგორც რევოლუციონური პარტია. საკმარისია ორი მაგალითი ამისა: რუსეთის რევოლუციამ 1917 წლისა ჯერ დღე-ნაკლები დემოკრატიული რეჟიმი შექმნა, ხოლო იგი ერთი სულის შებერვით გააქრო რევოლუციონურმა მარქსიზმმა და შექმნა ის „დიქტატურა“ „მშრომელთა“, „მუშათა და გლეხთა“, რომელმაც „მშრომელიც“, „მუშაც და გლეხიც“, მთელი რუსის ერი და რუსეთის უზარ-მაზარი იმპერიის ყველა ერი გაანადგურა ფიზიკურად და სულიერად. დღევანდელ-დღემდე გრძელდება ეს დიქტატურა, ვიცით ეს ჯოჯოხეთი, და ამ ჯოჯოხეთის დამკვიდრებას მარქსიზმი მთელ კულტურულ კაცობრიობას უქადის როგორც სამარადისო და „საუკეთესო“ წესს საზოგადოებრივი ცხოვრებისა.— როდესაც ისპანიაში პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებისათვის და სოციალური ცხოვრების გარდაქმნისათვის რევოლუცია მოხდა და ძველი რეჟიმი დაამხეს რევოლუციონერებმა, მარქსისტები დაეპატრონენ იქაც სახელმწიფოს და ისევე დაუწყეს განადგურება მთელ ერს და ისეთივე სიმხეცით, როგორც რუსეთის იმპერიაში გაანადგურეს ერები იმავე მარქსისტებმა. საბედნიეროდ ისპანიის ერმა საკმარისი ძალა ჰპოვა თვის სიღრმეში,რომ მარქსისტული ჯოჯოხეთითგან თავი დაეხსნა, მაგრამ ამისთვის სამი წლის სამოქალაქო ომი დასჭირდა მას, და ამ ომისაგან დაღლილი ესპანია ჯერ კიდევ სრულიად ვერ გამომრთელებულა.

ბ. წ.

(გაგრძელება იქმნება).

ცეკვა ძველ ტფილისში.

ევროპა მსოფლიო ომის შემდეგ

თანამედროვე მოვლენებისა და ომის მიზეზები რომ შევიგნოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ვითარება, რომელიც ჩამოყალიბდა 1914 —1918 წლის ომის შედეგად.

ცნობილია, რომ თვით მსოფლიო ომის გამომწვევი ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო ის ეკონომიური მეტოქეობა და ჰიდილი, რომელიც გაიმართა მსოფლიო ბაზრებზედ ჰეგემონიის მპყრობ დიდ-ბრიტანეთსა და ამავე ბაზარზედ ახლად გამოსულ გერმანიას შორის. გერმანია, რომელიც მოევლინა მსოფლიო ბაზარს პატიოსანი და ბეჯითი შრომით შექმნილი კარგი ხარისხის საქონლით, ადვილად იხვეჭდა სახელს და ამრიგად საშიშროებაში აგდებდა ინგლისის ჰეგემონიას და ბატონობას ამ ასპარეზზედ.

ინგლისი მუდამ წინააღმდეგი იყო ევროპის კონტინენტალური პოლიტიკის, (რასაც შემდეგში უფრო დაწვრილებით შევეხებით) და იგი მუდამ ცდილობდა ხელი შეეშალა ევროპაში ისეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, რომელიც ამ პოლიტიკის გატარების სურვილს ან ძალას გამოიჩენდა. მსოფლიო ომის წინა დროის გერმანია შემდგარი იყო სწორედ ამ გაძლიერების გზაზედ და, თუმცა მას მაშინ მიზანდადებული მოქმედება ევროპის კონტინენტალური პოლიტიკის გასანადებლად არ ემჩნეოდა, მაინც მისი სწრაფი ინდუსტრიალური ზრდა და ეკონომიური გაძლიერება თავისთავად შეიცავდა შესაძლებლობას, რომელიც მოსალოდნელი იყო გერმანიის კონტინენტალური პოლიტიკის გზაზე დააყენებდა და, მაშასადამე, ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართავდა.

თავისი მიზნის მისახწევად ინგლისმა გამოიყენა ყველა ის ინტერნაციონალური ძალები, რომელთა მისწრაფება და სურვილი იყო ეროვნული გერმანიის დამხობა და მასში მსგავსივე ძალების გაბატონება ყველა იმ ატრიბუტებით, რომლებიც იქნებოდენ ანტიეროვნული ტენდენციების შემცვლელი წელთა მანძილზედ ინგლისმა შესძლო გერმანიის გარშემო სახელმწიფოთა კავშირების ქსელის მოწყობა და მოამწყვდია იგი მძლავრ რკალში, გამოიყენა რა ამ მიზნით ევროპის სახელმწიფოთა უთანხმოებანი და ინტერესები, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ იყვნენ მიმართული.

ამ რიგად მსოფლიო ომის ასპარეზზე გამოვიდა ერთის მხრივ გერმანიის, ავსტრო - უნგრეთის, ბულგარიის და ოსმალეთის კავშირი, რაც თავის თავად გულისხმობდა, რომ მთელი ომის წარმოება გერმანიას უნდა აეღო ტვირთად, ხოლო მეორე მხრით ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, იაპონია და სხვა მრავალი ევრო[illegible] კის აზიისა და ავსტრალიის [illegible] ფოები, და ბოლოს ჩრდილო [illegible] შეერთებული შტატები. მიუხედ[illegible] იმისა, რომ ძალთა განწყობილ[illegible] რესად უთანაბრო იყო, გერმანიამ მაინც შესძლო ოთხი წლის განმავლობაში მოზღვავებულ მტერს გმირულად გამკლავებოდა, კიდევ მე[illegible] ომის განმავლობაში გერმა[illegible] მოკავშირე სახელმწიფოებ[illegible] მოებდენ მოწინააღმდეგე[illegible] რიაზედ. მართალია, გერ[illegible] იო ომში მილიტარულად [illegible] ხებულა, ბრძოლის არც [illegible] იგი არ გალახულა, მაგრამ ბ[illegible] მეოხებით, რომლის გარღვევა [illegible] ნიის სამხედრო ფლოტს არ ძალუ[illegible] და რომელმაც მისი სამხედრო მეურ[illegible] ობის პოტენციალი მეტად დაასუ[illegible] იგი იძულებულ იქმნა ომზედ ხელი [illegible] ლო.

შეერთებული შტატების პრე[illegible] დენტ ვილსონის მიერ გამოქვეყნებუ[illegible] ცნობილ 14 პუნქტის თანახმად, რო[illegible] ლიც მომავალ ზავს საფუძვლად უნ[illegible] დასდებოდა, ყველა ერებს ამ დუნია[illegible] უნდა მინიჭებოდა თავისუფლება [illegible] ლიტიკური, ეკონომიური და კულ[illegible] რული, მიუხედევად იმისა, იყო ესა თ[illegible] ის ერი ამ მსოფლიო ომის მონაწილე[illegible] თუ არა. ბუნებრივად ეს დებულება დამარცხებულ ერებზედაც ვრცელდებოდა.

(გაგრძელება მეოთხე გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუილს მოკლე ფესები აქვს

ხალხისათვის ნამდვილ ცნობათა მიწოდება ყოველთვის სავალდებულოა და მნიშვნელოვანი. მაგრამ ომის დროს სწორ ცნობათა მიწოდება და მიმდინარე საქმეთა განმარტება და ახსნა კიდევ უფრო სავალდებულოა. რასაკვირველია გამარჯვებისათვის უფრო ადვილია მართლის თქმა, ვიდრე დამარცხებულისათვის, მაგრამ ტუილებით ეს უკანასკნელიც მიზანს ვერ ახწევს, რომ ხალხის მორალს მუდამ მისცეს სათანადო სიმტკიცე. ხალხის მოტყუება შეიძლება ერთხელ, ათჯერ და ასჯერ. მაგრამ ბოლოს სიმართლე გამოცხადდება და ამას შეიძლება კატასტროფიული შედეგი მოჰყვეს. შეიძლება ამდენი მოტყუების შემდეგ ხალხის მორალი დაეცეს, მან რწმენა დაჰკარგოს გამარჯვებისა და ამით შესუსტდეს მისი წინააღმდეგობის ძალა. — გერმანიის მთავარსარდლობა ყოველთვის სწორ ცნობას იძლეოდა, ხშირად მიხწევებს ამცირებდა კიდეც, ამასთანავე ცნობა მოდიოდა მომხდარი ფაქტების სავსებით გამოძიების შემდეგ. ამიტომ ამ ცნობათა ნდობა არა მარტო გერმანიას აქვს, არამედ უცხოეთსაც, თვით მტერს! მტერი ხშირად სარგებლობს გერმანული ცნობებით მათი ინფორმაციისათვის! ინგლისურ - ამერიკულ - ბოლშევიკურ ცნობათა მიხედვით ყოველთვის გერმანიის მტრები იმარჯვებდენ: გერმანიას უკვე მხედრობა აღარა ჰყავდა, გერმანიის ჯარები გამოდევნეს რუსეთითგან და აფრიკითგან, ჩრ[illegible]ილი და სტალინი მალე ბერლინში [illegible]ეხვდებიან ერთმანეთს და სხვა. ნამდვილად კი ძლევა-მოსილი ჯარები გერმანიისა და მის მოკავშირეთა წინ მიდიან ყველგან — რუსეთში, აფრიკაში, იმარჯვებენ ხმელეთზედ და ზღვაზედ. და ეს სიმართლე გაიგო ბოლოს დ[illegible] ბოლოს მტრების ქვეყნებმა და ხალხი იქ თავიანთ მმართველთ და წინამძღოლთ საყვედურით ავსებს ტყუილებისათვის და მოითხოვს მათგან სრული სიმართლის ცნობას. ხოლო მთავრობანი სდუმან, ან და საზღაპრო რამეებს პირდებიან ხალხს. ხან და ხან კი გამოტყდებიან ხოლმე ოდნავ მაინც. მაგალითად ამერიკული გაზეთი „ლაიფ“-ი სწერს შემდეგს: „ამერიკელებს ამ ომში არაფერი გაუკეთებიათ, არა თუ არც ერთი ბრძოლა არ მოუგიათ. მაგრამ ამერიკული გაზეთების მიხედვით თითქოს ყველა ბრძოლები შეერთებულ შტატებს მოუგია! პირდაპირ სირცხვილია, როდესაც ფიქრობს კაცი, რომ ეს გაზეთების ბრალი კი არ არის, არამედ რუზველტისა და მის ამხანაგთა, რომლებიც დამარცხების მიუხედავად ოპტიმიზმით არიან გაბრწყინვებული.“ —. ეს წერილი ალბათ ცენზურას გაეპარა ამერიკაში,ხოლო ლონდონში და მოსკოვში საქმე სხვანაირად არ არის. ჩვენ კი მტრის გამარჯვებანი ქაღალდზედ არ გვაინტერესებენ, არამედ გამარჯვებანი ბრძოლის ველზედ, რომლებითაც ბოლშევიზმის თვით ფესვი ამოიფხვრება.

ქართველი გლეხის სიმღერა

წყეულიმც იყავ სტალინო,
ღმერთმა შენ მოგსპოს ჩქარაო,
გახდი ყოვების საჯიჯგნი,
მიწაც არ დაგაყარაო.

კოლექტივით რომ დამახრჩე,
ცოლ-შვილი დამიმშიეო,
შინსახკომელი ჯაშუში
ძაღლივით მამისიეო.

ხელ-ფეხი მაგრად შემიკარ,
ტიტველი მამუშავეო,
ასეთი სასჯელისათვის
მე ვის რა დავუშავეო?

მთელი დღე მამუშავებდი,
კუჭი ვერ მიძღებოდაო,
არცა რომ კარგად ვიყავი,
არც ბოლო მეღებოდაო.

სიტყვით ცხოვრება შექმენი
„კარგი და საამურია“,
მაშ მწარედ რაღად კვნესოდა
მეცხვარის სალამურია?

ღმერთმა დასწყევლა ის წუთი,
კეკემ რომ გაგაჩინაო,
ასეთი მხეცი, ურჯულო,
ურჩი და ყოყლოჩინაო.

რაც რომ კისერზე მეჯექი,
ტერორით გამაწვალეო,
ახლა ხომ მოგსპო ჰიტლერმა,
მის გამდელს ვენაცვალეო.

გლეხს საკუთრება მომეცა,
აგენტი აღარ მოვაო,
ჩემს მიწას ველარ წამართმევს
იუდა-ჯაშუშთ ხროვაო.

ცოლ-შვილს მშვენივრად შევმოსავ,
რადგანაც მიყვარს შრომაო,
ურიებს გავასინსილებთ,
მუქთად რომ უყვართ ძრომაო.

ჰიტლერის ახალ ხანაში
მეცა შევიტან წვლილსაო,
ფეხზე ბორკილებს დავადებთ
ქურდს, მატყუარას, ფლიდსაო.

ვინც იმუშაოს, გაუშვი,
მან სჭამოს თავის ლუკმაო,
მის მიყვანილი პურ-ღვინო
რატომ წაიღოს უქმმაო?

მართლა საამურს ჩვენ გავხდით
ცხოვრებას მომავალსაო,
ზიზღი და კრულვა წითლებსა,
ეშმაკებს წარმავალსაო.

ა. პ. (დარეჯანისძე).

ხევსური.

ევროპა მსოფლიო ომის შემდეგ

(მესამე გვერდის გაგრძელება).

ამ იმედით გერმანიამ დაჰყარა იარაღი, მაგრამ იგი მალე დარწმუნდა, რომ [illegible] 14 პუნქტი და მისგან მოშდინარე [illegible]პირებანი ერთი იმ მრავალ ხერხთანი იყო, რომელიც მთავარ მიზნად [illegible]ორედ გერმანიის ძლიერების დამხობისახავდა. ნაცვლად ამ 14 პუნქტის [illegible]ერდესა, გერმანიას დაედო ვერსალ[illegible] ზავით ის ბორკილი, რომელმაც [illegible]არა მარტო გერმანია გააუბედურა, არამედ მთელს ევროპაში წარმოშვა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური [illegible]ესი. ვერსალის ზავის თანახმად გერმანიას ჩამოერთვა მთელი სამხედრო [illegible]ლოტი, აუარებელი ორთქლმავალი [illegible] ვაგონები, სამხედრო იარაღები, გა[illegible]ენა გერმანიითგან უამრავი ოთხ[illegible]ი ცხოველი, დაეკისრა მას ვადადა[illegible]ებელი ფულადი გადასახადი, გერ[illegible]ის რკინის გზებზედ და მეურნეო[illegible]ედ დაწესდა მოკავშირეთა კონტრ[illegible] და სხვა. ამის გარდა გერმანიას [illegible]ძალა წვევადი ჯარის ყოლა, სამ[illegible]ო საჰაერო ფლოტის აშენება და [illegible]ვეცილ იქმნა მისი სამხედრო ფლო[illegible] მშენებლობაც ზღვაზედ. გერმა[illegible] ტერიტორიის ხარჯზედ არა ბუნ[illegible]ვად გაიზარდა ომის შემდეგ წარმ[illegible]ობილი სახელმწიფოები, — პოლ[illegible]თი და ჩეხო-სლოვაკია. გარდა იმ[illegible] რომ საფრანგეთმა გერმანიას ელ[illegible]- ლოტარინგია ჩამოართვა, მიეწო[illegible]ბრეთვე გერმანიის ადგილები ბე[illegible]ბას, დანიას და ლიტვას. ვერსალის [illegible]ბაითვე გერმანია იძულებული შეიქმნა პოლონეთისათვის კორიდორის სახის ზღვაზედ გასასვლელად ტერიტორია დაეთმო და ამ გვარად მისი ტერიტორიის მთლიანობა დაშლილიყო. გერმანიას აეკრძალა აგრეთვე ახლად დაწესებულ საზღვრების გამაგრება და დაწესდა ევრედწოდებული დემილიტარიზაციის ზონა.

უდავოა, რომ ახლად შექმნილი ვითარება, რომელიც შეიცავდა ეკონომიურად და ეროვნულად ევროპის უძლიერეს სახელმწიფოს დამხობას, იყო მომასწავებელი ინგლისის სრული გამარჯვებისა ევროპის კონტინენტალური პოლიტიკის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ევროპის დასუსტების და უილაჯობის დამკვიდრებელი. ზავის მოკარნახენი არ ღებულობდენ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ასეთი ვითარების გამეფება ეწინააღმდეგებოდა არა მარტო გერმანიის, არამედ მთელ ევროპის ბუნებრივ განვითარების მოთხოვნილებებს. გამარჯვებული და თავისი მიზნების ერთგული ინგლისი ემსახურებოდა ატლანტიკის პოლიტიკის, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ცენტრის, იდეას, ხოლო ინგლისისაგან დაბრმავებული საფრანგეთი ასწორებდა წვრილ ანგარიშს ტერიტორიულ ხასიათისა, არ უწევდა რა ანგარიშს იმ ვითარებას, რომელიც უნდა შექმნილიყო ევროპაში ასეთი სამარცხვინო ზავის შედეგად.

ვერსალის ზავის სადარაჯოდ და გასამაგრებლად ინგლის - საფრანგეთის მიერ ჩამოყალიბდა ეგრედ-წოდებული ერთა ლიგა თითქოს ვილსონის 14 პუნქტის საფუძველზედ, მაგრამ სინამდვილეში იგი წარმოადგენდა იარაღს, რომელსაც გერმანია მუდამ შიშის ქვეშ უნდა ჰყოლოდა.

ტოგო.

(გაგრძელება იქმნება)

გერმანიის წყალ-ქვეშა ნავები ამერიკის წყლებში.

ამას წინად გერმანიის ერთი წყალქვეშა ნავი შეიჭრა სენტ-ლორენც-შტრომში და ჩაძირა იქ სამი გემი 150 000 ბრ. რ. ტონნისა კონვოებითგან, რომლებსაც სამხედრო გემები იცავდენ. კიდევ ერთ გემს 4500 ბრ.რ. ტონნისა მოახვედრეს ტორპედო და მძიმედ დაზიანეს.

როსტოვის აღება

როგორც გერმანიის მთავარ - სარდლობა იუწყება, გერმანიის ჯარებმა, **სს** - ისა და სლოვაკიის რაზმებმა, რომელთაც ეხმარებოდა ძლიერად ავიაცია, გაარღვიეს როსტოვის ირგვლივ გამაგრებული ადგილები მთელ ფრონტზედ და დიდი ბრძოლის შემდეგ აიღეს შტურმით როსტოვი, მნიშვნელოვანი პუნქტი მიმოსვლისა და ნავთსადგური. გერმანელები მისდევენ მტერს და გადვიდენ უკვე დონზედ აღმოსავლეთით და სამხრეთით. — როსტოვის დაკარგვით ბოლშევიკებმა დაჰკარგეს შემაერთებელი ხიდი კავკასიასთან და დონეცის ბასეინთან. როსტოვში ითვლება 520 000 მცხოვრები და მეათე ქალაქია სიდიდით საბჭოთა კავშირში. იქ დიდი მრავალგვარი მრეწველობაა. ნავთსადგურს როსტოვისა მესამე ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ნავთსადგურთა შორის. როსტოვის დაკარგვის შედეგს ბოლშევიკები მალე იგრძნობენ.

მტერი ლაპარაკობს:

(მეორე გვერდის გაგრძელება).

„სონდეი ექსპრესს“-ი ალბათ ძლიერ შეშინებულია და სწერს: „უმწარესი ჟამი ახლა დადგა, ყველაფერი დაჩრდილა რუსეთის კრიზისმა. ბრძოლა დონის ბოლოში ყველაფერზედ უფრო შიშის მომგვრელია, რაც კი გვიხილავს ამ ომის ისტორიაში“.

ინგლისური საკვირაო გაზეთი „პიპლ“-ი იუწყება ქაიროდან: „რომელის გამარჯვების შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისის სამხედრო უწყებამ დაატყვევა 2000 ეგვიპტელი. ამ ჯომას მიმართეს სამხედრო უზრუნველ - ყოფის მიზნით. აგრეთვე სასტიკი ზომები იქნება მიღებული მათ წინააღმდეგ, ვინც რაიმე ხმებს გაავრცელებს ან ღერძის სახელმწიფოების მომხრეობის ეჭვს დაბადებს“. — ინგლისელებს არცა რცხვენიათ თავიანთი ტერრორისა იმ ქვეყანაში, სადაც ისინი ხელშეკრულებათა მიხედვით სტუმრები არიან.. მაგრამ ეგვიპტის ხალხი მათ ასეთ საქციელს სარგებლით გადუხდის თავის დროზედ.

„ნიუს-კრონიკლ“-ი იუწყება სხვათა შორის: „ყოველი ცდა ტიმოშენკოსი, რომ შეეჩერებია გერმანელების შეტევა, უშედეგოდ დარჩა. სზოგადოდ შეიძლება თქმა, რომ საბჭოებს მხოლოდ სასწაული გადაარჩენს“.

გამომცემელი და პასუხისმგებელი
რედაქტორი: **გიორგი ფრონელი.**

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Giorgi Phroneli, Berlin W 35. Am Karlsbad 28.

სტამბა: Deurscher Verlag. Berlin